

სტუდენტებისა და პერსონალის საყურადღებოდ

გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, შესაბამისი კომპეტენციის უწყებებთან კონსულტაციის საფუძველზე, 2022-2023 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი სრულად განხორციელდება COVID-19 პანდემიამდე მოქმედ ჩვეულ რეჟიმში.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აგრძელებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობას განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიმართულებით, რომლებიც მოგეწოდებათ საჭიროების შემთხვევაში.